წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ119. 119240172**

თარიღი:**17/01/2024**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, სამდივნო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიისა და მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ნოდარ გაბაძე - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

ბ) მარიანა ცინდელიანი - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

გ) ცისნამი ნიკოლაძე - საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში) - კომისიის წევრი.

2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თამარი ცქიტიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი